

Capatect Gewebe 666/110

მინაბოჭკოვანი საარმირო ბადე, კაპაროლის სალესი და საარმირო სისტემებისთვის.




პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები	მინაბოჭკოვანი საარმირო ბადე, კაპაროლის სალესი და საარმირო სისტემებისთვის. მინერალური ბათქაშების ზედაპირებზე ან Capatect-WDVS A და B თერმოიზოლაციის სისტემების გამოყენებისას.
თვისებები	<ul style="list-style-type: none">■ დაჭიმულობის მიმართ მაღალი მედეგობა■ პლასტიზატორის გარეშე■ ტუტეების მიმართ მედეგი■ ბადის უჯრების ზომა 6 x 6 მმ■ კიდეები ჩამოჭრილი
შეფუთვა	Gewebe 666/110: 50მ. რულონი, სიგანე 1,1მ. = 55 მ2
ფერი	ნარინჯისფერი - მუქი ანტრაციტი
შენახვის პირობები	შენახეთ მშრალ ადგილას
ტექნიკური პარამეტრები	<ul style="list-style-type: none">■ საწყისი სიმტკიცე გაჭიმვისას (გრძივი/განივი): $\geq 1750 \text{ N} / 5 \text{ სმ}$■ ფართობზე დამოკიდებული მასა: $160 \text{ გ/მ}^2 \pm 5 \%$ DIN 53854-ის მიხედვით■ გაჭიმვისას საწყისი სიმტკიცის დანაკარგი ტუტე გარემოში: $< 50 \%$ (28 დღე NaOH 5 % - იანი, ან 24 საათი ტუტე ხსნარი pH 12,5 / 60 °C)
პროდუქტის კოდი	666/110

გამოყენება

ხარჯი 1,1 მ2/მ2



დატანის მეთოდები

სალესი და საარმრო სისტემები:

Capatect Gewebe 666/110, 10 სმ - ის გადაფარვით, დააფიქსირეთ საბოლოო ფენის ზედა მესამედში და 20 სმ-ის გადაფარვით მიმდებარე კომპონენტებზე. რის შემდეგაც "სველი-სველზე" მეთოდით სრულად დაფარეთ ბადის ზედაპირი არმირების მასით. ფასადის დიოხები (მაგ. კარები, ფანჯრები) და კუთხეები მოითხოვს დამატებით, დიაგონალურ არმირებას.

მინერალური ბათქაშების ზედაპირები ან Capatect-WDVS A და B თერმოიზოლაციის სისტემები:

არმირების შესაბამისი მასა დაიტანეთ თერმოსაიზოლაციო ფილების მთელს ზედაპირზე, საბოლოო ფენის 2/3 სისქეზე, ქსოვილის მთელი სიგანის გათვალისწინებით. Capatect Gewebe 666/110, 10 სმ - ის გადაფარვით, მცირე დაწოლით დააფიქსირეთ მასში, რის შემდეგაც "სველი-სველზე" მეთოდით სრულად დაფარეთ ბადის ზედაპირი არმირების მასით. დანაფარის საბოლოო სისქე დამოკიდებულია არმირების მასის სახეობაზე.

მითითებები

უტილიზაცია

მასალის ნარჩენები უტილიზირებული უნდა იქნას EAK 101103 (მინაბოჭკოვანი მასალის ნარჩენი) ან EAK 170904 (შერეული სამშენებლო ნარჩენი) შესაბამისად.

ნებართვები

Z-33.43-132

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია

ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge